ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ბ-12/14/89746-16 22 07 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხიზანიშვილი, №80/ქალაქი თბილისი, გლდანის VII და VIII მკ/რ-ებს შორის/ქალაქი თბილისი, დასახლება გლდანი, VII და VIII მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/015)/ქალაქი თბილისი, მასივი გლდანი, VII და VIII მიკრო/რაიონებს შორის (ნაკვეთი 06/017)/ქალაქი თბილისი, მასივი გლდანი, VII და VIII მიკრო/რაიონებს შორის (ნაკვეთი 06/018) მდებარე შენობა-ნაგებობის (არსებული შენობის (სკოლის) რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: – №1318523 25.06.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხიზანიშვილი, №80/ქალაქი თბილისი, გლდანის VII და VIII მკ/რ-ებს შორის/ქალაქი თბილისი, დასახლება გლდანი, VII და VIII მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/015)/ქალაქი თბილისი, მასივი გლდანი, VII და VIII მიკრო/რაიონებს შორის (ნაკვეთი 06/017)/ქალაქი თბილისი, მასივი გლდანი, VII და VIII მიკრო/რაიონებს შორის (ნაკვეთი 06/018) (საკ.კოდი №01.11.10.006.026) მდებარე შენობა-ნაგებობის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

1-4 ფასადზე "3-4" მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგის ნახატი. მეორე სართულზე განთავსებულია გამწოვები და ფასადზე არ არის ნაჩვენები რიგელის ფრაგმენტი. "1-1" ღერძის მარცხენა მხარეს არ არის ნაჩვენები არსებული კიბეები. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე მოწყობილია ანაკრები საფეხურებით ლითონის კოჭებზე.

4-1 ფასადზე კარის წინ განთავსებული პანდუსი.

D-A ფასადზე ფანჯრების თავზე (D-D და A-A ღერძებთან) გაუქმებულია ნიშა. "A-A" ღერძის მარჯვენა მხარეს დამატებულია გამწოვი. მეორე სართულზე შეცვლილია ერთი ფანჯრის სიგანე. A-C მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრებს შორის მანძილი.

A-D ფასადზე ფანჯრებზე განთავსებული გისოსები. "A-A" ღერძის მარცხენა მხარეს შეცვლილია ფრამუგის ნახატი და გადაადგილებულია. ორ ადგილას დამატებით მოწყობილია ბეტონის დონეები, რომლის ნაწილიც განთავსებულია წითელი ხაზის გარეთ.

შენობის გარშემო მოწყობილია სარინელი.

შენობის შიგნით პირველ და მეორე სართულებზე გაუქმებულია ჰორიზონტალური რიგელები. შემცირებულია სართულების სიმაღლე 20 სმ.-ით. სველ წერტილებში მოწყობილია დონეები. "2-1" მონაკვეთში კიბის ქვეშ განთავსებულია ლითონის საყრდენები და კიბეზე შეცვლილია საფეხურები.

მეორე სართულზე "2-3" მონაკვეთში შემცირებულია ბიჯის სიგრძე 70 სმ.-ით, რის გამოც შემცირებულია ფართი 1.80 მ^2-ით. "3-4" მონაკვეთში დამატებით განთავსებულია ლითონის სვეტი და კოჭი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო

სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „კანდიდი“ საშუალო სკოლა, მარინე ქვრივიშვილს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხიზანიშვილი, №80/ქალაქი თბილისი, გლდანის VII და VIII მკ/რ-ებს შორის/ქალაქი თბილისი, დასახლება გლდანი, VII და VIII მ/რ-ს შორის (ნაკვეთი 06/015)/ქალაქი თბილისი, მასივი გლდანი, VII და VIII მიკრო/რაიონებს შორის (ნაკვეთი 06/017)/ქალაქი თბილისი, მასივი გლდანი, VII და VIII მიკრო/რაიონებს შორის (ნაკვეთი 06/018) (საკ. კოდი №01.11.10.006.026) მდებარე შენობა-ნაგებობის (არსებული შენობის (სკოლის) რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14182746-16 01.07.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**